წმიდათა ნაკვალევზე

წმიდა შიო მღვიმელის მონასტერი

სართიჭალის სულიერი მოძღვრის მამა შალვას ლოცვა კურთხევით, ჩვენი ეკლესიის მრევლის წმიდა ადგილთა მომლოცველი ჯგუფი კვლავ ვაგრძელებთ ასურელ მამათა ნაკვალევზე სიარულს.



2006 წლის 30 სექტემბერს, დილის ოთხ საათზე ჩვენი ჯგუფი გიორგი ნოზაძის, თამაზ გენგაშვილის, ალექსანდრე კოკოზაშვილის და თქვენი მონა-მორჩილის შემადგენლობით, სართიჭალის მთავარანგელოზების სახელობის ტაძრიდან გავუდექით გზას წმიდა შიო მღვიმელის მონასტრისაკენ მარშრუტით: სართიჭალა-ლოჭინის ხევი-გლდანი-ავჭალა-მცხეთა-სარკინეთის მთა-შიომღვიმე.

გზად გაბრწყინებული ღვთაების მონასტრის და წმიდა პეტრე მოციქულის ეკლესიიდან გადმომდინარე მადლმა შეგვაძლებინა სიცხესა და წვიმაში გაგვევლო რამდენიმე ათეული კილომეტრი. წმიდა ქალაქ მცხეთაში დავანებულმა ღვთიურმა მადლმა კი დაღლილობა თითქმის მოგვიხსნა. საღამოს შვიდ საათზე დავიწყეთ სარკინეთის მთის ციცაბო კალთაზე ასვლა, რათა რამდენიმე კილომეტრით შეგვემცირებინა მანძილი. ასეც მოხდა. უკვე ღამდებოდა, როდესაც დავადექით მონასტრისკენ მიმავალ გზას, მაგრამ ჯერ არ ვიცოდით რა განსაცდელი გველოდა წინ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოროტი, მორწმუნე ადამიანს მრავალ დაბრკოლებას უქმნის. ჩვენ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ღამის სიბნელეში ტყეში გზა აგვებნა და წინ და უკან თითქმის ოთხი საათი ვიარეთ. ბოლოს როგორც იქნა, ისევ უფლის შეწევნით, მოვძებნეთ ტაძრისაკენ მიმავალი აღმართი. მონასტრის კარი დაკეტილი დაგვხვდა. არც იყო გასაკვირი, რადგან უკვე ღამის პირველი საათი სრულდებოდა. მიუხედავად ჩვენი მრავალგზის მცდელობისა, არავინ გამოგვხედა. იძულებულნი გავხდით ჭიშკრის წინ დაგებულ ბეტონზე გაგვეთია ღამე, რადგან წვიმის გამო ბალახი უფრო სველი იყო. ღამით ხან წვიმდა, ხან კი ცივი ნიავი უბერავდა. საბედნიეროდ არც ერთი არ გავციებულვართ. ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება, ყველაფერი უფლის ნებაა.

გათენებისას გაიღო ჭიშკარი, შევედით მონასტრის ტერიტორიაზე და შვება ვიგრძენით. ბერებმა და მორჩილებმა გვისაყვედურეს: “რატომ არ გადმოხვედით გალავანზე, ჭიშკარი შორს არის მონასტრიდან და თქვენს ხმას ვერ გავიგებდითო”. თან, რომ გაიგეს სართიჭალიდან ფეხით ვიყავით ამოსულნი, შეწუხდნენ ღვთის მსახურნი. ერთ-ერთი მათგანი კი მამა ფილიპე (ერისკაცობაში ომარ ნოზაძე) სართიჭალელების სიძე აღმოჩნდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ წასულა მონასტერში. სწორედ ის გახდა ჩვენი მეგზური. ჯერ წირვას დავესწარით, რომელიც მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მამა მიქაელმა (გაბრიჩიძე) ჩაატარა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

მადლის მიღების შემდეგ, მამა ფილიპემ დაგვათვალიერებინა მონასტერი, რომელიც შედგება მარიამ ღვთისმშობლის მიძინების, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრებისაგან. ამ უკანასკნელში განთავსებულია მთავარანგელოზთა, წმიდა გიორგის, წმიდა ნინოს და შიო მღვიმელის ეკვდერები. მთაზე აღმართულია ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია.

წმიდა შიო ასურელ მამათაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც სხვა მამებთან ერთად, წმიდა იოანეს (შემდგომში ზედაზნელად წოდებული) წინამძღოლობით, ღვთისმშობლის ბრძანებით, VI საუკუნეში წამოვიდნენ საქართველოში მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად.

წმიდა შიოს სურდა დაყუდებით ცხოვრება და ამისთვის ლოცვა-კურთხევა ითხოვა მოძღვრისგან. მან კი მიუგო: “წადი და იქ გაჩერდი, სადაც უფალი მიგიძღვება, რადგან მეუწყა უფლის მიერ, რომ დიდი ლავრის წინამძღოლი იქნები, მხოლოდ ჯერ კურთხევა მიიღე კათალიკოსისგანო”.

წმიდა შიომ მიიღო კურთხევა კათალიკოსისგან და დაემკვიდრა მცხეთის დასავლეთით კლდოვან და მიუვალ, ქვეწარმავლებით და მხეცებით სავსე ადგილას. ეშმაკთა სიმრავლე თავს ესხმოდა წმიდა მამას და ხშირად მოკვლასაც უპირებდა. იგი ცხოვრობდა პატარა გამოქვაბულში, რომელიც მხოლოდ წვიმისაგან იფარავდა მას. ერთხელ, ღამისთევის ლოცვის შემდეგ, დილით, ბრწყინვალე ქალი და ყოვლად

დიდებული მამაკაცი იხილა მან წმიდათა კრებულთან ერთად. ქალმა ხელში თოვლივით თეთრი პატარა რაღაც მისცა და უთხრა, რომ ის იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და კაცი კი - იოანე ნათლისმცემელი. მათ იხილეს მისი დიდი სიყვარული ქრისტესადმი და მივიდნენ ნუგეშინისცემისათვის: "ეს თოვლივით პატარა რაღაც – საზრდელია, შეჭამე და ამიერიდან რაც მოგეცემოდეს ზეციდან ჭამე და ეშმაკების ნუ შეგეშინდება. ეს უდაბნო ადგილი გახდება ღმერთშემოსილ კაცთა სავანე". ნეტარმა შიომ მიიღო საზრდელი და ღმერთი ადიდა.

მართლაც, ერთ დღეს ციხე დიდის მთავარი ევაგრე, კაცი ღვთის მოშიში (შემდგომში ბერად აღკვეცილი), სანადიროდ გამოსულიყო მონებთან და მსახურებთან ერთად და იხილა, თუ მტრედს როგორ მიჰქონდა წმიდა შიოსთან საზრდელი. მალე უფალმა ანგელოზის ხელით წყარო აღმოუცენა კლდიდან ბერებს, რათა წყლის მისატანად არ ეწვალათ. ბერების რიცხვი ორი ათასამდე გაიზარდა. ისინი ვეღარ ეტეოდნენ იმ ადგილას, სადაც წმიდა შიო მკვიდრობდა და ააშენეს დიდი ლავრა. ნეტარ შიოს უფლის ნებით, დაემორჩილა გარშემო მყოფი მხეცები, რომლებიც მონასტრის ბერებს და მათ ცხოვრებას ზიანს აყენებდნენ. ისინი წმიდანის ბრძანებით გადაიხვეწნენ ამ ადგილებიდან. მხოლოდ ერთი მგელი დაიტოვა მამა შიომ, რომელიც ერთგულად მწყემსავდა მონასტრის ვირებს. ექვსი წლის შემდეგ წმიდა შიომ მგელი გაათავისუფლა მსახურებისაგან. ბოლოს, წმიდა შიომ მოძღვრისაგან და კათალიკოსისგან კურთხევა აიღო, მონასტრის წინამძღვრად დაადგინა ევაგრე, ხოლო თვითონ დამოძღვრა სულიერი შვილები და მღვიმეში დაეყუდა.



შეუძლებელია ღირსი მამა შიოს მოთმინებისა და მხნეობის აღწერა, მღვიმეში ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეს, მზის სინათლესაც კი მოკლებული იყო. მხოლოდ მონასტრის მამები თუ მიაწვდიდნენ ხოლმე მცირეოდენ პურსა და წყალს. იგი იქვე აღესრულა, მღვიმეში, რომლის სიღრმე თხუთმეტი მეტრია. იქვეა მისი საფლავიც.

საქართველოს ბრწყინვალე მეფე წმიდა დავით აღმაშენებელი ხშირად მიდიოდა თურმე წმიდა შიოს საფლავის მოსალოცად და მადლის მისაღებად. მისი ბრძანებით საფლავის გასწვრივ პატარა ხვრელი გამოთხარეს და მეფე-გოლიათი თურმე მკერდზე ხოხვით შედიოდა საფლავსა შინა მადლის მისაღებად. თვითონვე უთქვამს: "მე როგორ ვაკადრებ წმიდა შიოს, რომ მისი ძვლების მოსალოცად მღვიმეში ზევიდან ჩავიდე და ამ უდიდეს წმიდანს ფეხზე მდგომი ვეახლოო."

ასეთი ამაღლებული სულის და თავმდაბალი მეფე გახლდათ წმიდა დავითი, რომლის მახვილი იმ დროს თითქმის მთელ მსოფლიოს აზანზარებდა.

წმიდა შიო მღვიმელის მონასტერში მოღვაწეობდა წმიდა ნეოფიტე ურბნელი, რომელიც წარმოშობით სპარსი იყო, ერისკაცობაში ომარად წოდებული. იგი

სპარსელთა ჯარის ერთ-ერთი წინამძღოლი გახლდათ და შიო მღვიმელის მონასტრის ასაკლებად გააგზავნა მეთაურმა. ჯარი რამდენჯერმე ეცადა მტკვრის გადალახვას, მაგრამ მეომრები მდინარეში იხრჩობოდნენ. ბოლოს როგორც იქნა გადალახეს დაბრკოლება და მიადგნენ მონასტერს. ომარს ღმერთმა აუხილა თვალი და იხილა მან უფალი ანგელოზთა ჯარით. მიხვდა ვინც იცავდა ლავრას. მან იწამა ქრისტე და ნეოფიტედ წოდებული ბოლოს ურბნისის მთავარეპისკოპოსი გახდა. ნეოფიტე ევედრებოდა უფალს, რომ მისი ამქვეყნიური ცხოვრება, სტეფანე პირველდიაკონის მსგავსად, ქვებით ჩაქოლვით აღესრულებინა, რაც განხორციელდა კიდეც სპარსელების მიერ, რომლებმაც მას სჯულის შეცვლა მოსთხოვეს.

ქრისტიანობისათვის თავდადებული ნეოფიტე ურბნელი მოწამეობრივად აღესრულა და სამარადჟამოდ დაიდგა წმიდანის გვირგვინი. მისი წმიდა ნაწილები საქართველოს მრავალ ტაძარში ინახება, მათ შორის წმიდა შიო მღვიმელის მონასტერში.

ერთხელ სპარსეთის შაჰმა დაარბია მონასტერი. მოაგროვებინა წმიდა შიოს ნაწილები და თავის ქვეყანაში წააბრძანა. მას შემდეგ თურმე შავი ჭირი გაჩნდა სპარსეთში. აღარ მრავლდებოდა არა მარტო ადამიანი, არამედ ცხოველები და ფრინველები. ერთ-ერთ მოლას სიზმარში გამოცხადებია თეთრწვერა მოხუცი და უთქვამს, რომ თუ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების აღდგენა სურდათ, უკლებლივ უნდა დაებრუნებინათ წმიდა შიოს ნაწილები თავის ადგილსამყოფელში. შაჰს ოქროს კუბო გაუკეთებია, შიგ ჩაუბრძანებია წმიდა ნაწილები და დიდი შემოწირულობის თანხლებით გამოუგზავნია მონასტერში.

ნანახმა, მოსმენილმა და რაც მთავარია მონასტერში დავანებულმა უდიდესმა მადლმა, სულ დაგვავიწყა ჩვენი მგზავრობით განცდილი სიძნელეები. მასპინძლებს მადლობა გადავუხადეთ და დავბრუნდით სართიჭალაში.

იოსებ სიბოშვილი